*დანართი №2*

**შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ ბუღალტრული აღრიცხვა“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი |
| **წევრები:** |
| მაია ხურცილავა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების  სახელწოდება: შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: კერძო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი:

406037550

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [x] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

*სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 3 აპრილის N 0000404414 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში - SBA დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების შესაბამისობის შემოწმების მიზნით.*

*ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 7 აპრილს განხორციელდა ვიზიტი შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში მის.: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, რექტორს, ადმინისტრაციულ პერსონალსა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.*

## III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

**II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

*წარმოების ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა.*

**III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

*წარმოების ფარგლებში სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.*

**IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

*წარმოების ფარგლებში განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.*

.

**V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

### I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0411 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს" რექტორის 2026 წლის 12 თებერვლის N2610 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA" საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, №18-22 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 150 - იმიტირებულ სამუშაო გარემოში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 129 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA”-ს მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ სრულად შეესაბამება დაწესებულების საგანმანათლებლო პროფილსა და სტრატეგიულ მიზნებს. პროგრამის შემუშავების პროცედურა განხორციელდა აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესის“ (SBA-REG-019) შესაბამისად.

პროგრამის შესაბამისობა დაწესებულების მისიასა და სტრატეგიასთან დასტურდება შემდეგი ფაქტობრივი გარემოებებით:

- აკადემიის მისიაა, იყოს უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების ჰაბი, პირდაპირ რეალიზდება „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამით.
- აკადემია ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული ინოვაციური სერვისების შეთავაზებაზე. „საქსტატის“ უახლესი მონაცემებით, მომსახურების სექტორის წილი ეკონომიკაში 60%-ს აღემატება, ხოლო SS.ge-ის 2024-2025 წლების სტატისტიკა ადასტურებს ფინანსური და ბუღალტრული ვაკანსიების მზარდ დინამიკას. პროგრამა ითვალისწინებს IFAC-ის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საერთაშორისო განათლების სტანდარტებს, რაც კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობისა და საერთაშორისო მობილობის გარანტიაა.

- აკადემია აღნიშნულ პროგრამას წარმატებით ახორციელებს 2018 წლიდან. დაწესებულებას გააჩნია მყარი ინტელექტუალური კაპიტალი, მაღალკვალიფიციური პერსონალი და გამართული ინფრასტრუქტურა (სპეციალიზებული კომპიუტერული პროგრამები და ლაბორატორიები). პროგრამის მდგრადობას ასევე განაპირობებს მისი პრიორიტეტულობა სახელმწიფო დაფინანსების კუთხით.
- აღსანიშნავია, რომ რეავტორიზაციის პროცესში (გადაწყვეტილება №335649, 19.03.2026) პროგრამა არ იყო წარმოდგენილი სტანდარტში მიმდინარე ცვლილებების გამო. ვინაიდან აკადემიის მიზანია სასწავლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნება და ბაზარზე არსებული მაღალი მოთხოვნის დაკმაყოფილება, სტანდარტში ცვლილებების საბოლოო დამტკიცებამდე, დაწესებულებამ მიზანშეწონილად მიიჩნია მისი წარმოდგენა პროგრამის დამატების გზით.
- საერთაშორისო ორგანიზაციების (World Economic Forum, ILO, OECD) კვლევები და ადგილობრივი ბაზრის ანალიზი ადასტურებს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სფერო სტაბილურად მოთხოვნადია, ხოლო წარმოდგენილი პროგრამა სრულად პასუხობს ამ გამოწვევებს.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და მტკიცებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება ჯეროვან დასაბუთებას, პასუხობს თანამედროვე ეკონომიკურ მოთხოვნებს და სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებთან.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად შეესაბამება პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს და მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების ძირითად წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. აკადემიას პროგრამაზე ჩარიცხვისთვის არ აქვს განსაზღვრული დამატებითი პირობა.

   პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის სავალდებულოა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების ჩაბარება.

   დაშვების წინაპირობებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების ლოგიკური ჯაჭვი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტის წინარე ცოდნა იყოს ადეკვატური საიმისოდ, რათა პროგრამით განსაზღვრულ ვადებში (სწავლების ინტენსივობის გათვალისწინებით) ეტაპობრივად მიღწეულ იქნეს ყველა პროფესიული კომპეტენცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA”-ში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის პროცესი ეფუძნება მკაფიო მეთოდოლოგიას, რომელიც რეგულირდება შიდა მარეგულირებელი აქტით - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით“ (SBA-REG-019).

მეთოდოლოგიის თანახმად, გაანგარიშება ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- რაოდენობის განსაზღვრისას აკადემია ხელმძღვანელობს თეორიული (A), პრაქტიკული (B) და სპეციალიზებული (C) სასწავლო გარემოების მოცულობით. გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება სამუშაო ადგილების რაოდენობა, სწავლების ორცვლიანი რეჟიმი და სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციის შესაძლებლობები (მაგალითად, დისტანციური სწავლებისა და დუალური მიდგომების გამოყენება), რაც საშუალებას იძლევა რესურსების დაზოგვის ხარჯზე გაიზარდოს კონტინგენტი ხარისხის შეუმცირებლად.
- მეთოდოლოგია ადგენს მასწავლებელსა და სტუდენტთა რაოდენობას შორის თანაფარდობას, რაც უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის სათანადო ყურადღებისა და სწავლების მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.
- კონკრეტული პროგრამისთვის ადგილების განსაზღვრისას აკადემია ითვალისწინებს სხვა მიმდინარე პროგრამების დატვირთვასაც. თუ რამდენიმე პროგრამა იყენებს საერთო სასწავლო გარემოს, სტუდენტთა რაოდენობა ნაწილდება ისე, რომ არ მოხდეს სივრცეების გადატვირთვა.
- მნიშვნელოვანი ფაქტორია პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები. სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობას, რათა თითოეულმა სტუდენტმა შეძლოს პრაქტიკული სწავლის შედეგების სრულფასოვანი მიღწევა.
- საბოლოო რაოდენობის დადგენისას აკადემია ასევე აანალიზებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ფინანსურ მდგრადობას, ბიბლიოთეკისა და ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობას, რაც უზრუნველყოფს განსაზღვრული კონტინგენტის რეალისტურობასა და დასაბუთებულობას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ინფრასტრუქტურა და დაადგინა, რომ პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ მოთხოვნილი 150 ადგილი სრულ შესაბამისობაშია სასწავლო გარემოების გამტარუნარიანობასთან. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, აკადემია უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების სათანადო პირობებს:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **A სასწავლო გარემო (თეორიული სწავლება):** პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია 3 აუდიტორია, რომლებიც გამოიყენება ექსკლუზიურად აღნიშნული პროგრამისთვის. გარდა ამისა, აკადემიას დამატებით გამოყოფილი აქვს ერთი A გარემო, რომელიც საჭიროებისამებრ გამოიყენება „ფინანსების“ პროგრამასთან კოორდინირებულად ისე, რომ არ იწვევს სასწავლო პროცესის შეფერხებას.
- **B სასწავლო გარემო (პრაქტიკული სწავლება/კომპიუტერული ლაბორატორიები):** სპეციალიზებული ბუღალტრული პროგრამების (ORIS) ასათვისებლად დაწესებულება ფლობს:
  - ერთ B გარემოს, რომელიც სრულად არის აღჭურვილი 20 სტუდენტზე გათვლილი სამუშაო სივრცით და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერებით.
  - მეორე B გარემოს, აღჭურვილს 16 კომპიუტერით, რაც იძლევა მცირე ჯგუფებში ინტენსიური პრაქტიკული მუშაობის შესაძლებლობას.
- **AB სასწავლო გარემო (კომბინირებული სწავლება):** აკადემიას გააჩნია 2 AB ტიპის გარემო, რომლებიც თავისი მულტიფუნქციურობით იძლევა როგორც თეორიული ლექციების, ისე პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების საშუალებას. თითოეული აღნიშნული გარემო აღჭურვილია 30 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი საჭირო ინვენტარით (მერხები, სკამები) და კომპიუტერებით. სივრცეები რესურსულად იზიარებს დატვირთვას „ფინანსების“ პროგრამასთან ერთად, რაც ოპტიმიზირებულია სასწავლო განრიგით.

ვინაიდან „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამას აკადემია ახორციელებს იმიტირებულ გარემოში, წარმოდგენილი მატერიალური რესურსი სრულად არის გათვლილი პრაქტიკული კომპონენტის შედეგების გამომუშავებისთვის. მონაცემების ანალიზი ადასტურებს, რომ არსებული კომპიუტერული ლაბორატორიები და აუდიტორიების რაოდენობა იძლევა შესაძლებლობას, თითოეული სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს ინდივიდუალური სამუშაო ადგილით, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროფესიული კომპეტენციების ფორმირებისათვის.

ზემოაღნიშნული რესურსების, სასწავლო ფართის გამტარუნარიანობისა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოთხოვნილი 150 სტუდენტი წარმოადგენს რეალისტურ და დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას.ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა აკადემიის მატერიალური და ელექტრონული სასწავლო რესურსები. შეფასების შედეგად დადგინდა შემდეგი:

დაწესებულების ფლობაში არსებული სასწავლო რესურსი სრულად შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ძირითად სასწავლო ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში დაცული რესურსები პასუხობს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო მასალები ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია როგორც მატერიალური (ბეჭდური), ისე ელექტრონული სახით, რაც სტუდენტებს აძლევს არჩევანის და სწავლის პროცესის მოქნილად წარმართვის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო მასალებზე წვდომა დამატებით უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. აღნიშნული სისტემა იძლევა დისტანციური მუშაობის, მასალების ოპერატიულად გაცნობისა და სასწავლო დავალებების ეფექტურად შესრულების გარანტიას.

დაწესებულება სრულად ფლობს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ სასწავლო რესურსს, ხოლო მათი მრავალფეროვნება (მატერიალური და ციფრული) ხელს უწყობს სწავლის ხარისხის მდგრადობასა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5. ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არჩევით მოდულებს არ მოიცავს

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.**

6. აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია „დებულებით“ რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების/ცვლილებების შეტანის უფლებამოსილი პირია რექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს“ რექტორის N 2610 (12.02.2026) ბრძანებით.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია.**

7. პროგრამის სახელწოდება იდენტურია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული სახელწოდებისა. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს. მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.**

8. შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA”-ს მიერ წარმოდგენილი „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და შიდაორგანიზაციული რეგულაციების სრული დაცვით. პროგრამის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- პროგრამა ეფუძნება შესაბამის ჩარჩო დოკუმენტს და სრულად შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.
- პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ყველა სავალდებულო ელემენტს: მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, დაშვების წინაპირობებს, სწავლის შედეგებსა და მათ დეტალურ აღწერას, შეფასების სისტემას, სწავლების მეთოდოლოგიასა და დასაქმების სფეროებს.
- პროგრამაში ინტეგრირებულია ქართული ენის მოდულები (A2 და B1 დონეები). აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს არაქართულენოვანი სტუდენტების მომზადებასა და მათ სრულფასოვან ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც აკადემიის ინკლუზიურ გარემოზე მიუთითებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დამტკიცდა ახალი დარგობრივი სტანდარტი. დაწესებულება გამოხატავს მზაობას, განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (მიმდინარე წლის ბოლომდე). აკადემიის უპირატესობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი გუნდი აქტიურად იყვნენ ჩართულნი სტანდარტის განახლების პროცესში. აღნიშნული გარემოება იძლევა გარანტიას, რომ პროგრამული ცვლილებები განხორციელდება მაღალპროფესიულ დონეზე და ყოველგვარი შეფერხების გარეშე. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების ანალიზით, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ საგანმანათლებლო პროგრამა სრულად პასუხობს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და გააჩნია განვითარების მაღალი პოტენციალი.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დებულება;
- დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ვიზუალური დათვალიერება;
- შესყიდვის აქტები
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA”-ში „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რომელიც სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სპეციფიკას. აკადემია აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო სივრცეებითა და პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო ინვენტარით, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, განივითარონ პროფესიული კომპეტენციები. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ხორციელდება აკადემიის ბაზაზე არსებულ იმიტირებულ სამუშაო გარემოში. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ეფექტიანობისთვის კომპიუტერებში დაინსტალირებულია საბუღალტრო სასწავლო პროგრამა (ORIS), ხოლო სწავლების პროცესში ჩართული არიან პრაქტიკოსი ბუღალტრები, რომლებიც რეალურ ქეისებზე დაფუძნებით უზიარებენ სტუდენტებს გამოცდილებას.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“, განხორციელების მიზნით, აკადემიას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას ახორციელებს 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 5 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც გაწერილია კანონმდებლობით დადგენილი არსებითი პირობები და პუნქტები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ბუღალტრული აღრიცხვა“, ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კანონმდებლობისა და კოლეჯის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, მათ აქვთ შესაბამისი განათლება ან/და სწავლების, ან/და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ რექტორის ბრძანებით განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, გაციფრულებულია და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისტვის. კოლეჯს აქვს საკანონმდებლო ბაზაზე წვდომა.

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულების „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესის“ თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში მათ ადაპტირებას უზრუნველყოფს სამსახური. დაწესებულება, ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, ფლობს უსინათლო პირებისთვის განკუთვნილ (ელექტროწული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვაწი აღქმის საშუალება) ხმის აღწარმოების (კითხვის) პროგრამას. ასევე, შშმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული ჰყავს სპეციალური მასწავლებლები (ხმის აღწარმოების პროგრამის სწავლებისთვის და ჟესტური ენის თარჯიმანი). დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ „საბაჟო საქმეს“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლიათ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.**

7. აკადემიაში ფორმალიზებულია პროგრამის საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების შექმნის პროცესი, რომელიც გაწერილია აკადემიის შიდა მარეგულირებელ აქტში „სააღრიცხვო პოლიტიკა და წესი" (თავი 2, მუხლი 20; დანართი 15). პროგრამაზე არსებობს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ შემოსავლებსა და ხარჯებს რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით. საპროგნოზო ბიუჯეტი მტკიცდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით და მისი კორექტირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებითად იცვლება შემოსავლების ან ხარჯების რომელიმე მუხლი.
„ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა განხორციელდება ვაუჩერული დაფინანსების საფუძველზე. წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 18 სტუდენტს, რაც დაწესებულების გამოცდილებისა და რესურსების გათვალისწინებით რეალისტური მაჩვენებელია.

პროგრამის შემოსავლის ნაწილი ფორმირდება სწავლის საფასურითა და სხვა დამხმარე შემოსავლებით. ხარჯვით ნაწილში დეტალურად და ადეკვატურად არის გაწერილი ყველა აუცილებელი კომპონენტი, მათ შორის:

- ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება (ბიუჯეტის ყველაზე მსხვილი წილი);
- საიჯარო ხარჯი;
- ძირითადი საშუალებების ცვეთა;
- კომუნალური გადასახადები;
- საკანცელარიო და საოფისე ხარჯი;
- გადარიცხვა აკადემიის საერთო ბიუჯეტში;
- სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები;
- გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯი.
-
- **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე;
- „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი“
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N00000237 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 24.07.2025 N13803 ბრძანება) დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი“ ასევე, 2025 წლის 26 მარტის რექტორის №4228 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი“. დაწესებულებაში პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების რამდენიმე მექანიზმი არსებობს: პროგრამის მონიტორინგი და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; პროგრამის შუალედური შეფასება; დაინტერესებულ მხარეთა კვლევა; პროგრამის შეფასების ფორმის ანალიზი; ინფორმაციის სხვა წყაროები (სოციალური მედიით მიღებული უკუკავშირი). უზრუნველყოფილია პროგრამის პერიოდული შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებელთა, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის საფუძველზე. დაწესებულებამ წარმიოდგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები; • პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევები; • კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი; პროგრამის განახლება ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემებსა და დამსაქმებელთა შეფასებებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ პროგრამების შემოწმებისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები მიმართულია როგორც პროგრამებში ცვლილების განხორციელებისკენ, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის გასაუმჯობესებლად. პროგრამის შეფასების შედეგები ეცნობება ყველა სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეკომენდაციების შესრულებას. შეფასების შედეგები განიხილება დაწესებულების მენეჯმენტთან და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. დაწესებულება, კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობების ფარგლებში, მუდმივად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწასა და დარგის საჭიროებებთან მათ შესაბამისობაზე.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი“ ;
- „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი“
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. აკადემიის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი და შუალედური შეფასებისთვის გონივრული დროის შუალედი. მეცადინეობის განრიგები შემუშავებულია სასწავლო გეგმების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად და სასწავლო პროცესი ხორციელდება დადგენილი ნორმების დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. აკადემიის დირექტორისბრძანებით დატმკიცებულია „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად რეაგირების მექანიზემბი. პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია კოორდინატორი, რომელიც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იკვლევს სტუდენტების საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ ადაპტირებას სასწავლო პროცესში. ასევე დაწესებულება მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება; ინდივიდუალური მეცადინეობები; ცალკეული სტუდენტებისთვის/სტუდენთა ჯგუფისთვის შეფასების დისტანციურ ფორმატში ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე რეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პროფესიული საგანმანათლებელო პროგრამა განხორციელდება სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის საჭიროებების გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. აკადემიაშ არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.
პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად არის გამოყენებული სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია, თანასწორებს შორის სწავლების ელემენტები და ინტერაქტიური ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მიდგომები სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალური პროცესების ანალიზისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარები განივითაროონ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. აკადემიის დირექტორის ბრძანებით დატმკიცებულია „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად რეაგირების მექანიზემბი. ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა, ადმინისტრაციული მხარდაჭერა. სასწავლო და შეფასების პროცესის დაგეგმვისას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისიწინება, მობილობისა და განათლების აღრიარების პროციდურები. ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან, ინდივიდუალური მეცადინეობები ცალკეული სტუდენტებისთვის/სტუდენთა ჯგუფისთვის და ა.შ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ბუღალტრული აღრიცხვა „ ხორციელდება იმიტორებული სწავლების ფორმით. შესაბამისად, დასაწებულებას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს, სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ყველა აუდიტორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებისას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“*
- *„სასწავლო პროცესის მართვის წესი“*
- *საგანმანათლებლო პროგრამის“ სასწავლო გეგმა;*
- *პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*
- *დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;*
- *პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.*

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.აკადემიის დირექტორის ბრძნებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი (24.03.2020, N031ბრძანებით, ბოლო ცვლილება 10.09.2025 რექტორის ბრძანება №16700) სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი. რომლის მიხედვითაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს/შეიმუშავებენ მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების განხორციელების განრიგს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი. მოდულის განმახორციელებელი პირი მის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების პროექტებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში: ა) თუ აღნიშნული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი/დამატებითი შეფასება. ხოლო, ბოლო სწავლის შედეგის განმეორებითი/დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება აქვს პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს. ბ) თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე, ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, ან პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით/დამატებით შეფასება დაწეებულების მიერ განსაზღვრული სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულრებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი" (ბოლო ცვლილება რექტორის 4.07.2025
N13803 ბრძანება) (თავი III) მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. წესის შესაბამისად, ვერიფიკაცია შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმია, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. ვერიფიკაცია ხორციელდება: სამსახურის ორგანიზებით; პროგრამის შემოწმების ფარგლებში; ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შერჩეული ვერიფიკატორის ან საჭიროების შემთხვევაში - ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. ვერიფიკაციისას შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ა) ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; ბ) რისკების ანალიზის შედეგები, სადაც გაითვალისწინება შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორით, პრაქტიკული დავალებების სიმრავლით, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობით და სხვა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. აკადემიის „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის" შესბამისად, უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი დარეგულირებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით". ამასთან, სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების უკუკავშირის მიცემის საკითხები ასახულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი უზრუნველყოფილია: შედეგების ინდივიდუალური გაცნობით; განმავითარებელი შეფასებებითა და კონსულტაციებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი;*
- *„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი";*
- *ვერიფიკაციის შედეგები;*
- *გასაუბრების შედეგები.*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

15.04.2026წ.

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: